მეოცნებე ნიამორები

№ 8

ტფილისი
დეკემბერი
1922

№ 8

შ ი ნ ა ა რ ს ი.

გრიგოლ რობაქიძე—მიწის სჯული: ხორალი
პაოლო იაშვილი—ევროპა
ტიციან ტაბიძე—სეზონის ფალავანი
შალვა აფხაიძე—სოლო სიონში
გიორგი ლეონიძე—ახალი მთვარე კახეთში
ელენე დარიანი—წერილი ანნა ახმატოვას
რაჟდენ გვეტაძე—მანიფესტი ვირებს
ვალერიან გაფრინდაშვილი——ივანე მაჩაბელი
ჟიულ ლაფორგი—სამგლოვიარო მარში
სერგეი კლდიაშვილი—დაბრუნება
გრიგოლ რობაქიძე—სიტყვის როია

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

მიწის ხეული

ხორალი მისტერიიდან „ჯვარი ვაზის“.

ღმერთმა მიაყარა მადლი საქართველოს.
მკერდი არ უშრება მიწას უთვალოსა.
უხვი მზე გამოდის ხალისით სართველოს:
ბუღრაობს მწვანეზე და მართავს კალოსა.
მუხას გადაგრაგნილს და მაგარ წვივიანს
სურო ეგრიხება ლურჯი არტახებით.
გადათქვირებული რკოები ცვივიან
და ეშვებს ლესავენ ველური ტახები.
ღელავენ ჯავარი ტალღები სიმინდის.
სული ეხუთებათ ხულებს და თაროებს.
დალოცოს უფალმა ნაყოფის სიწმინდე:
ლამაზი ქალები ქურჩავენ ტაროებს.
და პირგაგუდული დიდი საწნახელი—
ყურძნით გალეშილი ლუში გველეშაპი
რომელმა გიორგიმ არ ჩასცეს მახვილი
მტევნების ტბორები რო ხვრიპოს პეშვებით.
რკო მრუში. მტევანი. ტარო დაყურსული.
ალო ატეხილი და თესლი ხურვალი.
ვერვინ დაიურვოს ხარი გალურსული
მთელ წყაროს ამოცლის რომ არი წყურვალი.
ჯოგების ურდოებს მორეკავს მეზვარე:
წინ ხარი წიქარა და ძროხა ბელეშა.
იქ აედევნება უშობელს მოზვერი
და განზე უეცრად დაიყეფს ქელეშა.
ყუჟდება ფარეხი და თანაც ბნელდება.
ჩუმად იმუდრებენ მსუქანი დედლები.
ჩვენც დასიცხულები მათთან დავნელდებით:
სასვენათ გველიან ძელური კედლები.
ვაჟები. ქალები. შვილები. მამები.
დედავ: ჩაგეხვევით უბეში კვართული.
და ძილში მალულად ფიქრი გვეამება:
რომ არ გაგვიმეტებს ჩვენ მიწა ქართული.

გრიგოლ რობაქიძე.

ევროპა.

შესავალი.

1915. იანვარში
პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია
დიდს ნიალვარში
მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“
ეს იყო მაშინ
როცა სენაში
ყრიდენ პარიზის მოქალაქენი გერმანელ ტყვეებს....
ვიგონებ დღეებს
როცა ვერდენს მოადგა შანთი.
როცა დასცალეს ტროკადერო
და ლუვრს მოსტაცეს ლაურა-დე-დიანტი.
გახდა პარიზი უსიცილო და უსიმღერო.
ლიუქსემბურგში:
იდგა ვერლენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში.
ლამის ქალები, პოეტები მოშორდენ „დარკურს“ და კაფე „ლილლას“
და მათხოვრები სენის ხიდებ ქვეშ მარსელიეზით ხვდებოდენ დილას.
პარიზელები ყვავილებით, პატარა ჯვრებით
გზავნიდენ ბავშებს პერლაშეზის სასაფლაოზე.
გამოვექეცი ევროპის ქაოსს.
სისხლს.
დანგრეულ რეიმსის ტაძარს
უზარმაზარ ტანკების ქშენას.
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.
ვიგონებ მართლა ჟრუანტელით
ლამანშის სრუტეს
იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს.
შოტლანდიაში:
ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი
და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა....
გამოვექეცი ევროპის წარღვნას.

. . .

პარიზში დამრჩა ერთი საფლავი:
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი
და ქუთაისში გადამტანი რევოლიუციის
(1905)
მკვდარი მარნასთან,
პერლაშეზე გასვენებული:
ბუჭუტა აბაშიძე.

პაოლო იაშვილი

სეზონის ფალავანი

ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია
შეიძლება წერა - ჰიეროგლიფებით.
თითქო პატარა ბავში ვარ — დაფაზე გრიფელით
და ჩემი სულიც სხვას აბარია.
მადონნა დეზერტირის ბაზარზე
(უსათუოდ ტემაა ახალი)
გულგრილობით ქვეყანა გადავრაზე
„დასავლეთის დივან"ს დასწერდა ბაყალი.
მე თვითონ მიყვარდა წინად ლირიკა
მზად ვიყავ უმიზეზოთ მთელი დღე მეტირა.
დღეს ყველა იმედი მართლა გაირიყა—
ლირიკის პოეტი მგონია მესტვირე.
მართალი გულით უკანასკნელ თავის განწირვით
მივმართავ ყველას უსათუოდ გამომიტირონ.
ლაფორგის კვირა ჭიანურის ატირდა წირვით
დაწყევლილ პოეტს ნუ ამადლით, როცა გთხოვთ მირონს.
წვიმს შემოდგომა წარღვნის წვიმით . . . მე ვარ ორპირში
და ეს გრიგალიც მოთხრის ღამე ხომ იხტიოზავრს.
მე მეჩვენება ჩემი თავი მეფის პორფირში
სოველი ჭინკა თავმდაბლობით მეუბნება ზარს...
მე თვითონ მივზდევ ყოველ წასულ დღეს.
მზად ვარ ვიტირო ბავშსზე უმწარესს.
თორმეტმა ღვდელმა მამა გასუდრეს
მე ერთი ღვდელიც არ ამიგებს წესს..

და ვმადლობ უფალს, ჩემი სული მას აბარია,
მან ერთმა იცის, რომ არ იყო იგი სამიწე.
ასე ატირებდა პოეტს მალლიარია,
ასე გაუგებრად სწერდა ტიციან ტაბიძე.

18 ოქტომბერი 922 წ.
ქ. ტფილისი

ტიციან ტაბიძე.

სოლო სიონში

პირველი სეანსი.

დაუმთავრებელ მთვარის სოლოს იმღერებს ქალი.
იმღერებს სოლოს დასველებულს სქელი ისრიმით.
და გამწვანდება მის სახეზე ბოროტი ხალი.
ხალი დამპალი, შეხვეული დანესტილ სირმით.

(მე ეს ამბავი დავასრულო მინდა რომანით)
თუმცა ქალბატონს გადაესხა სისხლი კაბაზე.
მას კაბა ეცვა შეკერილი ობობას კანით,
და ასდიოდა ოხშივარი გამოჭმულ ყბაზე.

ქალი თიოქოს მთვარით შემოსილი

„არ გააცილებს გვიან ეტლით მთვარეს არავინ.
ძაღლის ღამეებს სიცივეში ვფურცლავ წვალებით.
და რძის სატურნი იყო ჩემი მხოლოდ მფარავი.
ახლა გრიგალებს დავედევნე აცრილ თვალებით.

ო, ცა ტიტველი გადმომაყრის ბამბის ვარსკვლავებს.
და ჩემ ყეფაზე ატირდება სიონში თაგვიც.
ამ განაპირა ქუჩის ტირილს რა გაათავებს?
ღმერთო მაღალო! დიდ უფსკრულში გთხოვ დაგვიცევი!

მოვიდა კვირა გაბერილი: წვიმით, ტალახით.
წვირიან უბანს მოეჩვიენ მძიმე ავდრები.
ჩემია სოლო: კოჭლი მთვარე ისევ შავდება.

უკანასკნელი სეანსი.

ახლა ქალბატონს ვეთხოვები სანთლის ღიმილით.
შეწყვიტა წყნარი, ხავსიანი მთვარის სეანსი.
გაფრენილ სიონს მოაფინა გუმბათზე მღილი.
ო, ვინ შეხვდება დიდ სივრცეში ასულს ცოფიანს.

შალვა აფხაიძე.

ახალი მთვარე — კახეთში

მთვარე ხორცით გაივსო.
მოსწყდა უნაზეს მუცელს, აბრეშუმის საბუდარს
მთვარე ხორცით გაივსო.
ხსნიან რუმბებს მარნებში. ყოჩი დაკლეს მყვირალი
მოზვერი საგაისო.

უბნებში გადადიან ცეცხლები ყირამალა
სოფელზე წამოვიდა მთვარიანი მორევი —
გამოსული ლორივით
მთვარე ხორცით გაივსო.

მიწა, დედალო, ადუღდი მაჭრაით
დუმით გადაზელილს ვეძებ შენს ძუძუებს
მაწოვე. შევხვრიტო; დვრიტა და შრატი.
რომ გავძღე უცებ.

მოდგეს და მოდგეს გატენილი შენი ნახირი
მე წყურვილი გამინახევროს
მოხსენი ჯიქანი შენი ნამთვარევი
ვაფეთებ თვალებს მე აფთარივით

. . . .

ქონების ჭრაქები ინთება ფერებად
მთვარე ტყირპით იბერება...

გიორგი ლეონიძე

წერილი ანნა ახმატოვას

მე მინდა გითხრა სამძიმარი:
რომ ბლოკი მოკვდა!
ხან და ხან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.
ჩამოდი ჩემთან. მე მგონია
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და შვენება
გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.
შენ დაღალული გიბანია
სხეული ნისლში.....
ჩემი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.
მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი.
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
ლოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.

ელენე დარიანი

მანიფესტი ვირებს

მოქალაქენო ეხლა სიკვდილს აღარ ვაპირებ:
გამიჩნდა საქმე საარაკო (თქვენ გეცინებათ)
ჩემი ფიქრები ისევ მოსჩანს მთვარის სინებათ
და მანიფესტით მე მივმართავ საყვარელ ვირებს:

ჩემო ვირებო, თქვენს სინაზეს ყველა ამცირებს
თუმცა თქვენს თვალებს მე ვიხმარდი სარკის მინებათ
და გადავწყვიტე რადგან ღმერთმა ასე ინება
თქვენი სიცოცხლე ავაშორო სიკვდილის გზირებს.

ვერ შეხვალთ, ძმებო, სამოთხეში დღეს მარტო გარჯით
ამაზე მახსოვს ბევრი ფიქრი დამიხარჯია
საჭირო არის გადავარდნა ცეცხლის ყამირში.

გიძღვევათ ნება დაარსოთ ცალკე სამეფო
მგონი დრო არის რომ გაექცეთ მონურ წამებას
და შეგიძლიათ მფარველ მეფეთ მე ამირჩიოთ.

რაუდენ გვეტაძე

ივანე მაჩაბელს.

მე ერთად ვგლოვობ; უცნობ მაჩაბელს
და ძმას, დაკარგულს შორეულ ფრონტზე
ო, იოანე! თავს გადანაბელს
მე ახლა ვხედავ შავ ჰორიზონტზე.

აღარ თავდება ეს აგონია...
კიდევ მეორეთ ინგრევა გორი.
სასაფლაოზე (ასე მგონია)
სდგას მაჩაბელი ვით კამანდორი.

უცდის დონ ჟუანს და დონნა ანნას,
რომ გადუხადოს მათ მაგიერი.
და ხნიერ ღამის ავ გამოცანას
უცქერის როგორც ალიგიერი.

ის ყოველ ღამით ვერის კიბეზე
მომელოდება ვით ორეული.
ის არის ლანდი ულარიბესი
ფიროსმანებრივ ჩამოხეული.

დეზერტირკაზე ჰყიდის სურათებს—
ნახევრად გიჟი, მუნჯი, მშიერი.
ის თავის მკვლელებს დაუყურადებს
და გაექცევა მათ—კადნიერი.

ტრამვაის მოსვლას ჩვენ ერთად ვუცდით.
მისი ჩვენება კვლავ ისარკება.
იგი მიყურებს როგორც ფაუსტი
და უცბათ ბრბოში დაიკარგება.

აღარ გათავდა ეს აგონია--
შლილი შხამიან ღამის ვარდებათ.
და მაჩაბელი (ასე მგონია)
ხიდიდან წყალში გადავარდება.

უკვე დაინგრა ბედითი გორი.
დგებიან მკვდრები საყვირის ხმაზე.
და მაჩაბელი—მხნე კამანდორი—
ტფილისზე მოდის ვით საკაძე.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ჟიულ ლაფორგი

სამგლოვიარო მარში მიწის გარდაცვალებაზე.

შეტყობინება.

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

მიწა კვდარია და შესრულდენ ყველა დროები.
შენ უკანასკნელ დაიკვნესე ავი ხროტინით.
შავ სიჩუმეში, რომ გელოდა გილიოტინით,
შენ როგორც ბუში დასცურავხარ განმარტოებით.
ყველგან ზღვა არის მოჩვენებით თუ სინამდვილით.
დაეხეტები როგორც კუბო და ძორი შავი,
მაგრამ წარსული მოიგონე—პოემა ავი.
არა, იძინე აღსასრულის მარადი ძილით!

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

მაგრამ წარსული მოიგონე: ის წმინდა ხანა,
როცა შენ, მიწავ, გიგალობდა ქალწული ქარი.
გულში გეკვროდა საალერსო ფოთოლთა ჯარი
და ტკბილი იყო დაულალავ მდინარის ნანა.
მაგრამ აჯანყდა უწმინდური: მხიბლავი ქსელი,
მაიას ქსელი მან გაგლიჯა მეტი წყურვილით.
და დროთა კვნესა აიმართა ზეციისკენ ნელი.
არა, იძინე აღსასრულის მარადი ძილით.

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

. . . . . .

შენ საშუალო საუკუნის ხომ გახსოვს ღამე,
როცა სამსჯავრო საშინელი მეხით გრგვინავდა.
როს გაჭირვება მკვდრების ჩონჩხებს თავისთვის ფქვავდა,
რომ გამოეძღო სისხლიანი, ულმობი ჟამი.
და ადამიანს, შეშინებულს სიტყვების ბნედით
სწამდა ღვთაება და ასხამდა ხოტბას იმედით.
მან თავის გვარი შეიძულა მეტ სიძულვილით.
მაგრამ იძინე აღსასრულის მარადი ძილით.

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

. . . . . .

საკურთხევლებზე წმინდა სისხლი, ვით გამოცანა.
ბნელი ტაძრების ვიტრაჟები და საკმეველი.
მიდის ზეცაში ორგანონის წმინდა ოსანა.
ბნელი მონასტრის ტყვეობაში კვდება მხევალი.
ისტერიული საუკუნე – უკვე წარსული.
მთელ მსოფლიოში იგი იყო სულ ერთი ერთად.

იგი მიჰქროდა მიწის ბელტზე ობლათ, ულმერთოდ.
მაგრამ იძინე, დღეს გეწვია შენ აღსასრული!

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე,

. . . . . .

საპყრობილენი, ჯალათები, კოცონი, ფერფლი.
საროსკიპონი, საგიჟეთი, რკინა და ბოლი.
ომი, რომ მინდვრებს ანაკელებს უზომო მსხვერპლით.
მეცნიერება, ხელოვნება, ჭკუა-გოდოლი!
კეთროვანება, ღვინო, ჭირი, ურდო მშიერთა,
ტრფობის, მოწყენის, აღტაცების ამაყი კრება.
ამ შარმა ბევრი განიცადა, ახლა რომ კვდება:
მაგრამ იძინე, შენ ქაოსის ზღვამ შეგიერთა!

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე;

. . . . . .

სად არის ბუდდა, რომ ბრწყინავდა ვით განთიადი,
მთელი ქვეყანა რომ უყვარდა ერთ სიყვარულით?
სად არის ქრისტე, რომ სცხოვრობდა რწმენით ალურით,
და რწმენის მსხვერპლათ დაიღუპა ნაზი, დიადი?
სადღა არიან წამებულნი, ყველა ისინი,
ვინაც ატირა მსოფლიოთა იდუმალობამ,
მათი წიგნების სადღა არის ბოდვა, გალობა?
მაგრამ გათავდა აგონია! ახლა იძინე!

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე

. . . . . .

უკვე არ არის არაფერი! ლუვრის ვენერა!
გეგელის ჭკუა! საალერსო სონეტი მჭრელი.
ტომები, სადაც დიდ გონების დადუმდა ბგერა.
ვაზა, ოფორტი უსარგებლო და ეიფელი.
რაც იყო, მიწავ, სიამაყე შენი შვილების,
შენი ტალახი, ბრწყინვალება ხარბათ ფრქვეული—
ახლა ეს მხოლოდ ოცნებაა სიზმარეული.
მაგრამ იძინე! დაივიწყე ხმა სურვილების.

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

. . . . . .

სიკვდილი მოდის! დაივიწყე, რაც იყო წინათ.
ის საშინელი ტრაგედია იყო—კოშმარი.
მხოლოდ კუბოა უგზო-უკვლო დღეს შენი შარი,
უხსოვარ ბნელში ის უცნობი არის რუინა.
შენ არ ყოფილხარ! შენ იყავი მხოლოდ ჩვენება!
აქ აღარ არის მოწამე და მაყურებელი.
არის სიშავე,დრო, სიჩუმე, როგორც მხლებელი.
შენი ბედია აღსასრული და განსვენება!

ოქროორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

დაბრუნება

ხანდრო ცირეკიძეს

თითქო პირველად დაინახა თავისი პატარა ფანჯარიდან ცა დიდი, წმინდა. ახლა ქუჩები იყო წყნარი. ხმაურობდენ მხოლოდ ეტლები და ტრამვაები.

მალე ღალავდა ქუჩა. ქალაქის სკვერები მტვერისაგან ნაცრიანია. მოენატრა წმინდა ტყეები, ჭრიჭინები, ადრე ჩაძინებული სოფელი.

დასტოვა ქალაქი. უკანასკნელ სადგურზე დიდი ომი, რევოლიუცია, ბარიკადები. ხალისით შეუდგა ჯერ ჭალებს, მერე აღმართებს. გადაღმა წყნარი სოფელია, დაჩრდილული ორღობეები, გრძელ წვერა მეზობლები.

—

ხარი დაეტაკა ხარს. ორივეს კუნთები ღონიერია და თვალები ცეცხლიანი. ხანჯლებივით აილესა რქები ერთმანეთზე. ჰაერს შეერია მტვერი. გახელებული მზე ქაფათ გადიღვარა ორ მსუქან ტანში. მორჩენ ბულრაობას და მძიმე ნაბიჯით გაუდგენ გზას. ამძიმებდათ ხორცის სიმრავლე და სიმხურვალე ბარძაყებში.

ახ, ეს სოფელი სულ არ შეცვლილა! მხოლოდ გამრავლებულა ეზოები და დავაჟკაცებულა საკვირიკო ლელვები. სოფლიდან წასულან გოგოები, ახლაც მოიგონებენ სიძის მოსვლას და მაყრების გაბრუნებას. გასათხოვრები წამოიზარდენ და სხვები მოვლენ მაყრულით. ერთ დღეს ყოველი ოდა აყვავდება მწვანე შტოებით მორთულ სეფათი და ღობეებზე მიბმულ მაყრიონის ულაყებს ჭიხვინში დაათენდებათ ღამე.

—

მასპინძელი იხდიდა ბოდიშს ღარიბი ვახშმისთვის. სუფრაზე ეყარა ცხელი ჭადები, საინები პირამდე სავსე მსუქანი საცივით. აქვს ღვინო. მასპინძელს უხაროდა, მისი მწვივებით დაწურულია, და ხელადები არ ცარიელდებოდა. ფარვანები ეხვევოდენ სანთელს და ცვიოდენ წვენში. აივანს ეცემოდა ცვარი, მაგრამ ღვინოს შექონდა სითბო ტანში. ყველა შეიქნა ძვირფასი და საყვარელი: გაქონილი ტუჩები კოცნიდა ერთმანეთს.

— თქვენ ალბათ კარგათ მღერით. უარს ნუ ამბობთ!

მორცხვობდა

— ახ, არა ღმერთმანი!

— აზნაურის ქალი ხარ და გასათხოვარი! უარი როგორ გეკადრება!

ახ ეს მთვარე, თეთრი მთვარე! ის მხოლოდ აზნაურის ქალის სამკაულია და მეგობარი სიმღერის დროს. ახლაც ქალის სიმღერამ ამოათრია. გამოჩდა მთები და ხევები, ნიგვზის ტოტებზე—დაბუდრებული ქათმები. ქალი ნაღვლობდა სიყვარულზე, ეშინოდა ღალატის, იმუქრებოდა საწამლავით. რცხვენოდა ყველაზე უფრო ქალაქიდან ჩამოსულის. ალბათ ბევრი კარგი სიმღერა გაუგონია და გიტარაზეც უკეთ უკრავენ. მასპინძელს რო არ ეთხოვა, არ დაამღერებდა.

—

მზემ დააწოვა მინდვრები, ყანები, ვენახები. მთებიდან დაბრუნდენ ძროხები ეუვნების რაკუნით. მოათრიეს სავსე ჯიქნები. ცხელი კუროები ბლავილით დაეშვენ წყაროსკენ და შეივსეს მარჯვენა ფერდიც. მწყემსები ამბობდენ დათვის ტორის ნაკვალევზე. ნასაყდრევის-

•ვის შეწირული ვერძები განადირდენ, ექავებათ რქები და ებრძვიან ხეებს ბრაზის მოსაკლავად.

ცდომილი ვუბრუნდები ძველ სამკვიდრებელს და მივიღე, ძვირფასო, შენი ქალწული მიწა. მიხარია ცხელი სისხლი არტერიებში, ბროწეულების დამძიმებული ტოტები და ჩემი ეზო გავსილი ჰაერით, დევებით და ცისარტყელებით. უფალო, გადაიღვარე ჩემში! უფალო ველი შენგან დამაკებას!

—

თექვსმეტი წლის კუნთები ღონიერია და შეუძლიათ აიტანონ შენი ტანი ტოტებზე, როცა მივარდები ქვიშნის ხეს. ქვიშნის წითელი წვენით შეისვრი ტუჩებს, ლოყებს, შენი თეთრი ტანსაცმელი ქვიშნის სისხლითაა შეღებილი. ასე ბრუნდება ბრძოლიდან გამარჯვებული. ყოველ დღე ეჭიდები მზეს, ახელებ ამ ცხელ ამირძალს შენი ტანის სიმაგრით და სურნელებით. მზე ისხმება შენს ტანში ცხელი და უზოგავი. იწვის ტანი, ეჭიდება წარმართს მზე. როცა დაღალული მიიღებს სპილენძის ფერს, ჩაძირავ ტანს ბალახებში. ბალახები ისხამენ ცვარს და ენის წითელ წვერს აგრილებ ცივი წვეთებით

ყველაზე ადრე დასტოვა გალავანი და ჩქარი ნაბიჯით დაეშვა ორღობეებში. გაიარა წისქვილები და გაყვა მდინარის ნაპირებს მებადურები იჭერდენ კალმახებს. დაგუბებულ კალაპოტთან შეგროვილიყვენ ბავშები. ტანისამოსი დაეგდოთ ქვებზე. ისვრებოდენ სილაში და კივილით შეცურდებოდენ წყალში. მზეზე ბრწყინავდა ბავშების სპილენძის ტანი. კიჟინით მორეკეს ცხენები. დაუშალეს კუდები და ჭენებით ჩარეკეს მდინარეში. ჩქაროობდენ ცხენები ამოსვლას და ფრუტუნით ერეკებოდენ წყალს ნესტოებიდან.

გაბრუნდა ყანით და როცა ადიოდა ფერდოს, დაინახა ნაცნობი სახე, მშიერი ნადირივით გამომზირალი ჩირგვიდან.

— ასე ადრე რათ დასტოვე ეკლესია. გამოვყევი შენს ნაკვალევს.

ღონიერი მკლავებით მოეხვია კისერს და ცხელი ძუძუებით მიეკრა ტანს.

დაღალა, დაჰკოცნა და დასტოვა მოთელილ ბალახზე.

—

„ახლა სოფელში ვარ. მაცვია წუღები. ჩოხის ნაქსოვები გაქღენთილია მიწის და ბალახის სურნელით. მწამს ძლიერება ძელი ჭეშმარიტის. თვალები მაქვს მწვანე და უშიშრათ ვხედავ წმინდა გიორგის. ველი ამბავს როცა წაუკიდებ ცეცხლს შენს თერთმეტ სართულიან სახლს“.

სერგო კლდიაშვილი

სიტყვის როლიდა

კამარა პირველი

მაგიდას უსხედან: პოეტები, მწერლები, ესთეტიკოსები. გადასწყვიტეს ჟურნალის გამოცემა. სახელს ეძებენ. უეცრად მოვარდება ერთი სიტყვა. დაფიქრდებიან. სინჯავენ სახელს. ვერ არის ხმოვანი სათანადოთ": ამბობს ერთი. დასთანხმდებიან. შემოვარდება მეორე სიტყვა. მასაც იგივე ბედი ეწვია. შემდეგ: მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე. არ აქვს ბოლო. გაისმის ნაირი ხარაქტეროლოგია: აკლია სიმძიმე. არ აქვს კოლორი. არ უვარგა სურნელი. არ აქვს სიმაგრე. სუსტია პლასტიური ჭედი. წამახულია მეტად. ყოველს სახელ მოსდევს ასეთი და სხვა დახასიათება. მოგონების ლაბარატორიაში კი ინტენსივდება პროცესი ძიების. ბოლოს: უეცარი ცხენივით მოვარდება უცნაური სიტყვა და მოსანათვლელს გამოეჭრება სწორხაზიან პროფილად. ჩნდება სახელი როგორც უკანასკნელი აკვეთილი სახე საგანის: სახელი-სახეული. ფსიხიკის სივრცეში იგი ისსმის როგორც მედალიონი ნივთის, ისახება მისტიური აპერცეპცია: სახელი-სახეული-სხეული.

სახელდებული საგანი სხვანაირად იგრიხება. თითქო სახელამდი იგი არც კი არსებობდა, ან თუ ჰქონდა ყოფა, სახელით მიიღო უკანასკნელი არსება. დაფიქრება იშვილდება სითამამით. ახლოვდება შეცნობაში ემპედოკლეს თქმა: არსნი და ნივთნი იქმნიან მხოლოდ სახელებით, რადგან „პირველიდან იგი იყო" სახელი მხოლოდ'—და ნორმა საგანის თუ მოვლენის არის დარქმევა. დიდი სიცილიელის უცნაურ სიტყვაში არის მისთურიი სიმართლე. ნამდვილი სახელი ასტრალური სხეულია საგნის თუ მოვლენის. აქ არის მისი მაგია. ყავის სქელ სითხეში ხელთათმანი გამოიჭრა ასტრალი ხელის: ასე იჭრება სახელში ნივთის თუ განცდის ძირეული არსი.

დასახელების ფენომენში ნათლად ცნაურდება „როიდას" ფენომენი. ხშირად წარმოვიდგენთ: მიზეზი, მიზეზი, მიზეზი,—შემდეგ: შედეგი. ეს გრეხილი მექანისტურია მეტად. იგი იწყება აქტივური „თაურით" და სრულდება პასსიურ „ბოლოში". შესაძლოა ამ პროცესს მობრუნებულათ გავავლოთ ხაზი: შედეგი ჯერ კიდევ არ წარმოშობილი, რომელიც მოელის მის შემქნელ მიზეზს. თესლიდან ნაყოფამდე მანძილია გარკვეული. მაგრამ შეცნობის სხვარიგ მოტრიალებით მანძილი შესაძლოა გაჰქრეს: იხსნება ორმაგი რკალი. ნაყოფი აქ იგივე თესლია. ან კიდევ უკეთესი: ნაყოფი უცდის გაცხელებული თესლის ღელეს საშოში. ამ ფენომენს შესაძლოა ეწოდოს ძველი სახელი „როიდა" (შემხვედრი ნაკადი). თუ სახელი გამოიჭრა „როიდის" რკალში, იგი გახდება ასტრალურ სხეულად.

რემი დე გურმონ ამბობს: „რეალური გამოიყოფის შესაძლოსაგან მხოლოდ სიტყვით. შესაძლოს, რომელიც არ არის აბეჭდილი რომელი წოდებით, შეიძლება ჰქონდეს უკანასკნელი,—რეალური კი ხშირად იკარგება ჩვენთვის, მხოლოდ მისთვის, რომ იგი რჩება ანონიმური. მარმარის უსახელო ბჟუსტებ შორის ლუვრში (და ყველგან) შესაძლოა იყოს ის ბჟუსტიც, რომელსაც ჩვენ ვეძებთ: ბჟუსტი ლუკრეციასი, ბჟუსტი კლოდისა, ხოლო, სწორედ იმისათვის, რომ იგი არ არის ანიშნული ცნობილი სახელით, ჩვენ, როცა მას ვუცქერით, არა ვგრძნობთ იმ ერუანტელს, რომელიც შეიცავს ჩვენ სხეულებათა წინ ოდესლაც ნაცოცხლი ხალხისა" („წიგნი მასკების": ესკიზი მარსელ შვობზე).

სახელი არის ასტრალის დაღი. იგი საიდუმლოთია მოცული. ძველი თქმა მართალია:

რომელიმე ქალაქს აქვს მეორე სახელი: იდუმალი. იგი მისი უკანასკნელი სიმაგრეა. ვინც მას გამოიცნობს, ქალაქს აიღებს. ქურუმები ძველად ორი ენით მეტყველებდენ: ჩვეულით და უჩვეულოთი. უჩვეულო სიტყვა მხოლოდ შეწირულებმა იცოდენ. ამ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა. ჰიერატიული სიტყვას ჟანგი არ ედება. არც ცვდება იგი. მაგალითები: კრატერ-სული. ლირა-მსოფლიო. ქვაბული-შობა. ასტერია-კუნძული დელოს. სკამანდრიადყრმა ასტინიაქსი შვილი ჰექტორის. და სხვა მრავალი.

ასტრალური ხაზები ზოგიერთი სახელის.

ქალების: მარია დორვალ: ოქროს თმები ლოკავენ შიშველ თეთრქაფა სხეულს. დოლენა: სირბილე მიწის ძუძუების. აშარა: უშრეტელი. ნინო: ლოცვის ნანა. სირენა: სრიალი ქალური ცვლის. როგნედა: სკვითის სიგიჟე სლავურ მოდუნებაში. სალომეა: ვნება სიკვდილში. დალილა: სიდედლე და „ეგვიპტეს ღამენი". ოფელია: შეშლილი ფოთლები მდინარეში. ჯიოკონდა: დაეჭვების ღიმილი სივაჟეში. არაბელა: ატეხილი სურვილი დაურეებისათვის. თამარ: გათვალვა დედოფალის.

გმირების: ასსარგადონ: რკინის რისხვა და საფლავების ამოვარდნა. სალმანასარ: გველის სილამაზე. ჰანნიბალ: აფრიკის სიცხე გოლვიანი. სარდანაპალ: მოჩვენება გაჭენებული. სოლეიმან: უდაბნოს მირაჟი სოველი. ჩინგიზხან: აწყვეტილი მარტორქა. ტამერლან: კენტავრი გავარდნილი. თიმურლენგ: მონგრეული ლიანგი. ნაპოლეონ ბონაპარტ: ბედისწერის დუელი.

გეოგრაფიული: ვოგეზი: მოლვედილი ტევრი. ვაგრამ: დანგრევა ჭარმაგი. სკანდინავია: სიმაგრე დათოვლილი. სიცილია: ცისფერი სიცილი. ქირმანშახ: ქიმერების ქარავანი. ხამადან: მზის ხაო. მარმაროშ სიგეტ: თეთრი შოლტი მოქნეული. ქალდეა: ჰალლუცინაცია ხაშმით. კიმერია: სპლინის აგური. ანგორა: გადალახვა ქედმაღალი. საგარეჯო: გარუჯული განდეგილი. ორპირი: რასსების ჯვარედინი. წიწამური: წამება. გელათი: სინათლე.

ლიტერატურული: შარლ ბოდელერ: გენია სპლინში. ვერლენ: ქალური დათუთქვა. ვერხარნ: გრიგალი თავწაჭრილი. ბორგეზე: ულაყი გეზი. უაილდ: დენდის კამარა. ლოტრეამონ: გიჟი თავადი. დორიან გრეი: ლანდი სარკეში ჩარჩენილი. ირრუბაქიძე: მოურავი მოურეველი. რადზივილ: სიეილი ვილლაში. აშორდია: აშორება შაირით.

და მრავალი სხვა: ტეტრარხ, ალექსანდრ სევერ, დადიანი, ნაუზიკაა, ვანგ, ვოლგა, რონა, რიონ, სარიდან, თენგიზ, ოთარ, თეიმურაზ, თამაზ, ლორედან, ქარავანი, ქარვა, რვალი, სპილენძი, დედალ, ტრისტან, ენგური, ნარრაბოთ, სკალდ.

ასახული ხაზები არ არიან უკანასკნელნი (სახელების ასეთს თუ ისეთს შეგზნებაში). შესაძლოა სხვა ხაზებიც. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ ეს სახელები იძლევიან ასტრალურ ხაზებს (ასეთს თუ ისეთს მაგრამ უთუოდ ასტრალურს). ყოველი მათგანი ჰქმნის საგანს: სულ ერთია-რომელს. ეს არის „როიდა". ბუნება არ არის ერთსახოვანი: იგი მრავალსახიერია. ყოველს ცნაურის მომენტში იგი სხვა სახეს გაიცხადებს: სახელი ჰკვეთს ამ სახეს. აქედან: მრავალნიშნეულება სახელის. ამ მხრით იგი მუსიკალური თაურის ეპიფენომენია.

პსევდონიმის პრობლემა ძიებაა ნამდვილი სახელის.

ერთი მაგალითი. ვასილი როზანოვ, გენიალურ მგზნებელი სიტყვისა და სახელის, სწერს:

„Иду раз по улице. Поднял голову и прочитал: „Немецкая булочная Розанова". Ну так и есть: все булочники „Розановы" и следовательно все Розановы-булочники. Что таким дуракам (с такой глупой фамилией и делать... Я думаю „Брюсов" постоянно радуется своей фамилии. Поэтому сочинения В. Розанова меня не манят. Даже смешно. Стихотворения В. Розанова совершенно нельзя вообразить. Кто же будет „читать" такие стихи. Ты что делаеш, Розанов?—Я пишу стихи.—Дурак. Ты бы лучше пек булки.—Совершенно естественно" (Уед., 54).

რომელი ჯობს: ისიდორ დაუკას, თუ თავადი ლოტრეამონ?!

არჩევანი ცხადია.

ხშირად ხალხი ჰქმნის სახელებს, როგორც ასტრალურ დაღებს:

ჩიკორა. ოყლაყი. ოჩანა. ჯახჯლა. ყოყონა. ჭყეტელა. ქიცილა. ოცონცორე. კვაცანა. ოჩონჩრე. ქოთილა. კოწა. ძაბრა. ანდრაზა. ტანტრე. ლუტა. დუგლეგი. დუღრიმა. ლიფლიფა. ცანცარა. ხინჩლა. ლოქოქა. ცვეტა. დღაჯია. ბადრაჯა. წირალა. ჩობინა. ტუბია. ცუგო. ძიძგლა. ტალიკი. წოწოქა. წრუტა. წრიპა. ჭინჭლა. ხაჭილა. ხვართქლა. ხოჭიჭი. ღაჭო. ყაპყაპა. შანგლა. შანთრაქა. წიკო. წიპლანკი. ჭიპლა. რახრახა. ჟიჟმატა. პუწიკა. ხარხლა. კუდბაწარა. ქინქლა. ბუდრუგუნა. ბენტერა. დოღრიალა. ზოზო. წაწალა. ბუზანზარა. ჯინჯორა. თუთულა. გოდელა. ხუთქალა. ფუფულა. ქოცეცა. კენჭა. ხრინწა. შეშქენა. პუწკა ჩიტირეკია. ჭალია. ყბაჩა. აგანგალა. ალჩუ. ბაჯაჯღანა. ყლურწა. კოჟორა. დანდროზა. დიდრაჯა. დრუზა. ფონფლე. კოკნოჭა. ლართხა. ლუყურტი. ოდროგელა. ტინგიცი. ღვიტიკელა. ყაპყაპა. ყვაჩალა. ყრუჩუნა. ბუზანზარა. წოწრე. კიკო. ჩიფლახა. ჭიკარტულა. ჭიმია. კვაჭა. კვანჭალა. კვაჭანტილა. აყლაყუდა. ცხვინჯა. ტყაპუჭა. ჩხმახმარა. ცქიფურა. წრიპა. ცანგალა. დრუნჩა. მანჭკვალა. ჭონტოლი. ფანქვალა. ქონდარა. ჩლადი. ხოჩოლა. ფუჩინა. აჩუა. ოტროველა. დურუზუნა. ქუცალა. მანწია. ქაცვია. ფალთახა. ჩინჩახვა.

აი უცნაური სახელები...

ყოველი ასეთი სახელი ისახება ენის საშოში. მაგრამ საგულისხმო: შობისთანავე ასეთი სიტყვა დეკადანსით იხრება და თითქმის სცილდება გრამატიკალ ნორმას. ეს „გადახრა" აძლევს მას ასტრალურ ხასიათს. ყოველი სახელი აქ ცხელი დაღით არის გაშანთული. ასეთი სიტყვა მთელი პოემაა ჰომერის სიუხვით მოზმული. საგანი თუ ნივთი თუ მოვლენა უკანასკნელი ამოწურვით იკვეთება ასეთს ხახელში: რომელიმე ასპექტის თუ რადიუსის მბრით. დაარქვით ვინმეს „ჭიკარტულა" და შექმნით ახალ ადამიანს. „დურუზუნა": ეს ხომ ფიზიური დაღია კაცის: საკუთრივ ქალის. „ჩაბაკვერა": ამის მტარებელს ათასს კაცში გამოიცნობთ.

სახელი-სახეული-სხეული. ამ შემთხვევაში ასტრალური. აქ ცხადდება როიდა. მასშია მოქცეული სიტყვის საიდუმლო. სიტყვა როგორც როიდა არის სიტყვა პოეტური. პოეზიის არსი აქ არის დამალული: ხატი, რიტმი, რითმა, ეპიტეტი.

გრიგოლ რობაქიძე